

ს ი ა ნ გ



რუევისა და გუატსკ-ვიაჰმის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას აწვითარებენ და განუწყვეტლივ ურტყამენ მოწინააღმდეგეს, დაამარცხეს გერმანიის 161-ე, 342-ე, 292-ე, 129-ე, მე-6, 256-ე ქვეითი დივიზიები, მე-14 და 36-ე მოტოდივიზიები და 2 სატანკო დივიზია...

საბოლოო ინფორმაციურს ცნობიდან.

ნახ. გ. ლომიძისა




რადიკალური ოპერაცია და მის შედეგად გერმანიის ფაშის მხრე დაკარგული შესამინი უბნები რუევის მისადგომებთან.

კავკასიის მთების დილოგი

„აქ, მთების ძირში, აღიზარდნენ საბჭოთა ადამიანების თაობანი, რომელთაც ლომის გული და არწივის თვალები აქვთ. არასოდეს არ განდებიან მონებად ჩრდილოეთ კავკასიის ამაყი ხალხები“.

ნახ. დონისა



— ხედავ მეგობარო, რამდენ უცხო ბილწ ნადირებს ხოცავენ ჩვენი მონადირეები?
— ჰო, ვხედავ და მახარებს, რომ ჩვენი წმინდა ადგილების შერყვნისათვის შურს იძიებენ.

„პრავდა“

ხორგის გასაჭირი

გესტაპოს პაგენტებმა მოჰკლეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ორონტზე უნგრეთის ვიცე რეგენტი იშტვან ხორტი. გაზეთებიდან


მამა ხორტი კუბოხთან დგას და დაცქერის შეილის ცხედარს, — რა ქნას, — შეილი რომ იტიროს მას გესტაპო ხომ შეხედავს?

და კუბოხდან იშტვან ხორტი მამას მისცემს ასეთ კითხვას: თუ ჩემს მკვლელებს შენ მხარს უჭერ, მაშინ შენვე როგორ ითქვას?

მამა ხორტი სდუმს, — შეკითხვას უპასუხოდ იგი სტოვებს, თითქოს არც გაუგონია, გაუღიმებს გესტაპოელს,

გულში ფიქრობს: იშტვანის ბედს ჯავაღწიო უნდა თავი, ეგებ ცოტა ხნით გადავრჩე, შევირჩინო ჩემი ტყავი.

სან —



— ქურდებს, მკვლელებს, ავაჯაებს, მოგონებებს, ყველას, ყველას! — თქვენს ხელშია ბედი რაისის, თქვენგან ველით ხსნას და შველას. საბჭოეთზე გაილაშქრეთ, მოხალისეთ ჩაეწერეთ, დაიპყროთ ქვეყნები და თავისუფლად მარცვით მერე. —



ორ დღის შემდეგ ორი გმირი გათხუნილი თმით და ცხვირით, მიცუცულდა შტაბის კართან და უფროსთან გაიმართა.



„მარცვა, გლეჯა, ხალხთა რბევა, ჩვენ ორივეს გვეხერხება, ოსტატი ვართ ამ საქმეში, ზედმეტია თავის ქება.“

დაგვაცადე, დაგიმტკიცებთ დაპირებას ერთი ათად. მოეწონა გენერალს და მათი მისვლა გაეწარდა.



მოხალისის სამოსელი გადააცვა გმირებს ტანზე გენერალმა და ალღუმზე გაიყვანა მოედანზე.



ორმოცამდე გამოცხადდა ლეგიონში მძარცველთ ჯიში, მათი ნახვით ქურდებიდან გამორბოდა ხალხი შიშით.



შტაბმა ფრონტზე გასაგზავნად ვაგონებში მოათავსა და გაგზავნა „გმირები“ რომ ახახელონ ომში რაისა.

უკონფის გაუთიებთან

გერმანიის ციხეში

— შენ რისთვის ზიხარ?
— გამეცინა როცა გებელსი სიტყვას ამბობდა. შენ რაღად ჩაგსვეს?
— მე გამეცინა, როცა გებელსმა სიტყვა დაამთავრა.

(„სამშობლოს პატრიოტი“)

„ფიურერი“ და თამაგაოს მფრეველი

— რატომ არის, რომ „ფიურერს“ ასე ეჯავრება თამაგაოს მწვეველი?
— იმიტომ, რომ ის მთელი დღედაღამე თოფის წამალზე ზის.

გერმანელთა სანაბარში

— ყური დამიგდე, ადოლფ, როდის ფიქრობ რომ საშუალება მოგეცემა შეხვედე შენი ოჯახის წევრებს?
— ამას მე ყოველ წუთს მოვილო: ჩემი ორთავე ძმა ომში უკვე მოკლეს და დედამა დიდხანია გარდაეცვალა.

მდგომარეობის მიხედვით

— ჯარისკაცი, ფოგელ, წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გაქვთ ერთი ხელყუმბარა და თქვენსკენ მოდის უიარაღო მოწინააღმდეგე, რას იზამთ?
— მე ავიღებ ხელყუმბარას და სწრაფად ავწე მხრით მარჯვენა ხელს.
— ყოჩაღ, ფოგელ!.. მაგრამ თუ მოწინააღმდეგე შეიარაღებულია?
— მაშინ, მარჯვენა ხელთან ერთად ავწე მარცხენასაც..

(„სამშობლოსათვის“)



გზაზე რაისის ბატონობის იმით გულში ჩაჰქრა გრძნობა, და თანდათან „შეუდრეკელ გმირთა რაზმმა“ იწყო დნობა.



როცა ტყეში თავს უშველეს, მონაგარი მათ იამათ: ტანსაცმელი გაჰყიდეს და მოილხინეს მადიანად.